

ლიტერატურული განეთი

№3 (331) 17 თებერვალი - 2 მარტი 2023

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

დათო მაღრაძე

DOUBLE ON THE ROCKS

ბოლო დროს საკუთარ თავს ვეძებ ნიადაგ,
...რატომძაც აქამდე არასდროს ვეძებდი,
წყალში ვარ,
ცაში თუ
მივყვები ლიანდაგს,
მსურს თავის შეცნობის ვიპოვო რეცეპტი.
ძველი ფოტოების სულ მოვფანტ-მივფანტე
ახალი მასკებიც მივუგდე მემასკეს,
ყვავილებს მივართმევ დიდებულ ინფანტას,
რომ სარკე ვეოხოვო დიეგო ველასკეს.
თავის მოძიება ხუმრობა როდია,
საძნელო საქმეა
და თანაც საფრთხილო,—
თუ შეხვდი საკუთარ ნილის პაროდიას,
ან, მოულოდნელად სარკემ თუ გამხილოს.

მტრედს ვატან პოემას,—
საფოსტო სიმბოლოს,
თუ წყალზე მივყვები მუცლიან იალქნებს,
თავს ვეძებ იქ, სადაც მინდა, რომ ვიპოვო
და არა იქ, სადაც უთუოდ მივაგნებ.
ცის მიზიდულობის კანონზე ვმუშაობ
და მაინც ისააკ ეცემა ვაშლები,
ნეტავი, ვიცოდე, ვაშლს რა დავუშავე,
რას იზამ, ხანდახან ვაშლებსაც ვეშლებით.

გარსია ლორკასგან გახსნილი იარა
არასდროს არ მტოვებს ცრემლების გარეშე,
— ეს ბოშა ბიჭია,
არმსტრონგი კი არა,
ვინც ფეხი დაადგა პირველად მოვარეზე.
მეც მინდა, რომ სული მოვარეზე დავლიო,
ლექსებით ავანთო ვარსკვლავთა ნაკრები,—
ასე შემოქმედა ესპანურ გალიონს
ცივილიზაცია ვაშლილი აფრებით.

საკუთარ თავს ვეძებ ნიადაგ იქ, სადაც
მინდა, რომ ვიყო და
მინდა, რომ მჯეროდეს,
რომ ოქროს ქოთანზე გაზრდილი სისადა-
ვის სიდიადესთან მარცხდება ჰეროდე.
თავს ვეძებ იქ, სადაც მოხუცი ეზობე
იგავით მანიშნებს ორლესულ ჩანაფიქრს,
იქ, სადაც უთქმელი დარდი აქვს მეზობელს
და მინიშნებაც კი არ უწევს არაფრის.


პაპსა კი კიტჩისკენ სინათლის სიჩქარით
იწევს და იჩქარის, რომ ცხვირი მიადოს,
only for staff-ის რომ განეხვნას ჭიშკარი,
როგორმე, ერთხელ და სამარადიადოდ.
სოტბიზეც გაძვირდა იაფი აფიორა,
ისე, რომ მარჯვენამ დაკარგა ცაცია
და შავი კვადრატი, —
როგორც მეტაფიორა
ჩანს, როგორც სიბნელის ლეგიტიმაცია.

მე კი კვლაც მებრძოლებს საბრძოლოდ ვაქეზებ,
თუმცა ჩემს შეძახილს შენ უწერ ლაქებს,
— მხედრებთან მკაცრი ვარ!
— ცხენებთან ფაქიზი...
ეჲ, თუმცა შენ ამას, აპა, რას გაიგებ...
მოწყენის წუთებში, თანაც თუ შევთვერი,
და ვიხსნი მხრებიდან სამყაროს ზენოლას,
ასეთ დროს მაგნებ ელდარის შედევრის
უკვდავი ფილმიდან აგულის პერსონაჟს.
თუმცა... მე ვიკითხო,
თორებ შენ რა გიჭირს,
მე, ვინც რომ ნიადაგ თავს ვეძებ საკუთარს
და თავის შეცნობის მცდელობის ნაბიჯი
ვეჭვობ, რომ ნამადგეს ცხონების საბუთად.

უფალმა დალოცოს ალონსო კიხანო,
დუქანი ჰერონია სამეფო Palazzo,
უფალმა დალოცოს ამხანად, იმხანად...
ქედს უხრის მედუქნეს ხელმწიფის სანაცვლოდ.
ცალ მუხლზე ჩახრილი ქედს ვუხრი მზარეულს,
მის ჩამჩას ალვიქვამ ხელმწიფის რაპირად
და ვანდობ საკუთარ განზრახვას არეულს,—
სურვილს, რომ პოეტად კურთხევას ვაპირებ.
— მაკურთხე პოეტად,
თქვენო ბრწყინვალებავ!
და მხარზე ხმალივით შემახე ჩამჩა, რომ
ქედმალალ კრიტიკოს თავისი სწავლება
ავდგე და ბურთივით უკანვე ჩავჩარო.
ფილმის აგორაზე მივდივარ ელინი,
ათეისტს ვეძახი:
— მომყევი ლაჩარო!
რომ „რვანახევარი“ მაესტრო ფელინის,
როგორც ალსარება, მივიღოთ საჯარო.
მეც მახსოვს კრიზისში ნაძები ნუგეში,—
ნაცარში პირველად ჩავარდა კოვზი რომ...
მაინც გავანათე ფურცელზე დუ-ბეში
და ბარმენს გავძახე:

— Double, please, on the rocks!

საკუთარ თავს ვეძებ, ნაპირის ალიონს,
სადაც რომ მომღაშო, ნოტიო გემო აქვს,
...საპორტო ქალაქში ესპანურ გალიონს
ცივილიზაცია აფრებით შემოაქვს.
სადაც გადარჩენის მდერიან არიას,
სადაც უკვდავება სწამთ ხელშეუხები...
და ანდერძს ვკარნახობ ნაცნობ ნოტარიუსს,
უცვლელად ჩანეროს შემდეგი მუხლები:
— არ ვტროვებ მომავალს,—
არც ვეფხვის ანაპრად,—
არც მერნის ანაპრად,—
არც დაჭრილ არწივის,—
და რადგან ამ ტრიოს ვალმერთებ თანაბრად,
ვეცდები, ვათრიო მძიმე ჯვრის ნაწილი.



ზაალ ებანოიძე



დასაშვები გარტოობა

ვინ დაძრახავს, ნაბიჯ-ნაბიჯ ბერდებოდეს,
სისხლი წვეთავს გადახსნილი მაჯიდან;
ჰაი, დედა! — თქვენ რომ ეიმედებოდეთ,
თავის თავთან მეგობრობას რა რჯიდა.

გულში მლერის: „მარტოობის ვპოვე სორო“,
გულში მლერის: „შელამების ბინდია“,
სხვისი აზრი, ოღონდ თავად მოეწონოს,
სხვისი აზრი უკვე ფეხზე ჰეკიდია.

დღემდე ბევრი ღამე თეთრად უთევია,
მიზეზ-მიზეზ თვალს არიდებს თავხედებს;
რიბირაბოს, თუ იგივე უთენიას,
სიზმრებიდან მორცხვად ამოახედებს,

თავს თავადვე, თავს თავადვე აგულადებს,
ოცნებაში, როცა მახვილს ამოსწევს,
და სიშორეს „იმ გულიდან“, „ამ გულამდე“,
მთელი ღამე მისხალ-მისხალ ამონმებს.

რამეს რომ წერს, რამეს როცა ესიტყვება
(დე ჩანგმა თქვას — „ფაქტოა“ თუ „იურე“);
მტრის ჯინაზე. ლექსში ცოცხლობს,
ლექსში კვდება
და ლარიბულ სახლ-კარს ამითიურებს.

სამუშ-ხამუშ, ზომიერად ეტანება
ხელიჭიქას მარტოობის ტაბლაზე;
თუ აფასებს — ძილ-ბურანის ნეტარებას
და ფიქრებში ჩაღრმავებას აფასებს,

ვინ დაძრახავს, ნაბიჯ-ნაბიჯ ბერდებოდეს,
სისხლი წვეთავს გადახსნილი მაჯიდან;
ჰაი, დედა! — თქვენ რომ ეიმედებოდეთ,
თავის თავთან მეგობრობას რა რჯიდა.

შინდის ჩრდილში სახელდახელოდ გა-
მოჩორკნილი, სინესტისაგან გასვავებული
ფიჭვის მაგიდა იდგა. ზაფხულობით ზედ
ყოველთვის თეთრკოპლებიანი წითელი
მუშაბბა ეფარა, ზამთრობით კი ედო ფაფუ-
კი თოვლი. მაგიდას აქეთ-იქიდან რკინის
გრძელი სკამები ედგა.

ზაფხულის გრძელ დღეებში, როგორც კი მზე მთებს იქით გადაგორდებოდა და ადამიანის ჩრდილი გაქრებოდა, ამ შინდის ქვეშ ვიკრიბებოდით მე, დედა, აპიბო ძია და ანეტა ბიცოლა. დედაჩემს ფიჭვის მაგიდასთან საგანგებოდ მომზადებული საჭმელები მიჰქონდა — ხან ნიგვზიანი ბატონჯანი და აჯაფსანდალი, ხანაც — ზაფხულის ტოლმა. დაგვინახავდა თუ არა, შინდის კრეფას თავს მიანებდებდა ანეტა ბიცოლა, ლაპარაკში გართული გადაწმენდდა შინდის ხაყოფითა და ფოთლებით მოვენილ თეთრკოპლებიან წითელ მუშაბას, დაანყობდა ზედ ვყავილებიან თევფშებსა და ძვლისტარიან დანა-ჩანგალს და სანამ სალათისთვის კიტრისა და პამიდვრის დაჭრას დაინტებდა, რეპანსა და ოხრახუშებებაღნაში გამაგზავნიდა. ბალჩაში კი სწორების დრო იყო, ახალშებინდებულზე ციცინაათელები ზაფრანის სურნელოვან ბუჩქებთან რომ ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ. მათ ყურებაში გართულს ამქვეყნად ვყელაფერი მავიწყდებოდა. სადა ხარ, ანა, შემომახსებდა დედა. მეც მაშინვე წავანყვეტავდი ქორფა თავებს რეპანს და შინდის ხისკენ გავრბოდი. მერე დაიბანდა აპიბო ძია მთელი დღე მიწაზე მუშაობისაგან დაკოურილ ხელებს და სურორას მიუკადებოდა. მე თამადასაგირ ყოველთვის სუფრის თავში ვჯდებოდი და მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი ყურებდაცქევეტილი ვუსმენდი კასა რამიტი მოლაპარა ალროსაძე.

მწკრივებინათ. ქვემოთ თევზის კონსერვები ელაგა, უფრო ქვემოთ — „ბუხანკა“ პურები. დახლზე, ორგანულფილებია უზარმაზარი სასწორის აქეთ და იქით, იქნებისა და შაქრის გორები იდგა. ვიტრინის მაცივარში კარაქის სხვადასხვა ზომის კაბიკები ელაგა, იქვე კუთხეში კი — მუცილა კოლოფებით მარილი, სოდა და კაკია. იყო და ეს მაღაზიის მთელი ავლადიდებ თეთრ ნინძასფარში გამოწყობილი მაშა სუსასწორთან იდგა. ნიჩაბივით კოვზით მდევე ამივსო პარკი ფქვილით და გამომიტუმრა. გარეთ მანანა დამხვდა. საავადმ

რეულ ფარებში შეყუულები ვატარებდით
და ვატარებდით ხორცის საკეპ მანქანაში
ფორთლებსა და ბალახებს, ვშლიდით და ში-
გნიდან ვიკლევდით გაფუჭებულ ტელე-
ფონებს, ხის პატარა სკამებს ვაჭედებდით
და ვაძრობდით ლურსმნებს. მანანას სახ-
ლიდან ჩემთვის საუცხოო სათამაშოები
გამოჰქონდა, მაგრამ მასთან მეგობრობაშ
თმაში სხვა მეგობრებიც გამიმრავლა. შეს-
ფორთებულმა დედაჩემმა თავზე დუსტი წა-
მისვა, თმა ცელოფნით შემიხვია, მანანას-
თან მეგობრობა ამიკრძალა, მერე კი ანე-
ტა ბიცოლასთან ერთად შებინდებამდე მა-
ცლიდა ფეხებგაფშეკილ ტილებსა და წილ-
ებს შინდის ხის ქვეშ. მეტ მორჩილად მედო
თავი ხან დედაჩემის და ხანაც ანეტა ბიცო-
ლას კალაბაში და მანანაზე და ტილებზე
ერთად ვდარღობდი. თუმცა ჩემი და მა-
ნანას დაშორება მხოლოდ საშიორ ბებიას
ბიჭმა მოახერხა. ერთ დღესაც სამთვლინი
მოტოციკლეტით გამოგვეცხადა, მდგმუ-
რები სახლიდან გაუშვა, ჭიშკარზე მუყაოს
ყუთის ნაგლეჯი ჩამოაპრონიალა, იყიდე-
ბა ზედ წითელი საღებავით მინქრა, საში-
კო ბებია მოტოციკლეტში ჩაისვა და სადღ-
აც გააქროლა.

იყლისის ბოლოს ძალიან მაგარი ამზადი
მოხდა — ნაია გაიპარა. აპიბო ძია და ანე-
ტა ბიცოლა სიხარულით მეცხრე ცას ეწივ-
ნენ. ნეტვა ვის გაეპარაო, მხრებს იჩეჩავდა
მამაჩემი. ოვალებაციმციმებული აპიბო
ძია კი იმავე სალამოს შინდის სის ქვეებ ჰყვე-
ბოდა, ნაიას მომავალი ქმარი ბათუმში ფი-
ლმის გადალებისას როგორ გაუცნია. კახი
მყვინთავი ყოფილა და თურმე დელფი-
ნებთან სცენების გადალებებში მონაწილე-
ობდა. აფხაზეთში, ზღვის პირას უზარმაზ-
არი სახლი ჰქონია. გადალებების შემდეგ
კახი ნაიას სანახავად თბილისში ჩამოსუ-
ლა. უკან რომ ბრუნდებოდა, ნაიას მატარე-
ბელზე გაუცილებია. მატარებელი სანამ
დაიძვრებოდა, კახის უკითხავს, შეწ ხომ
არ წამოხეიდოდიო. ნაიაც ამდგარა და თან
გაჰყოლია.

მალე ანეტა ბიცოლა ნაიას სანახავად
გაემგზავრა. აბიბონ ბიძია კი შემპირდა, აფ-
ხაზეთში ჩემ გარეშე არ წავიდოდა. ერთი
სული მქონდა ანეტა ბიცოლა როდის დაბ-
რუნდებოდა, რომ მერე ნაიასთან მე და აბ-
იბო ძალა წავსულიყავით. ორი კვირის შემ-
დეგ ანეტა ბიცოლა დაბრუნდა. ყველაფრ-
ით კმაყოფილი მხოლოდ ერთ რატეს აღმ-
ფოთებინა: ტურისტებით სავსე რომ აქვთ
სახლი, ეგ არაფერი, მაგრამ რუსის ქალე-
ბი ეზოში თითქმის შიშვლები დატანტალე-
ბენ, არც ჩემს სიძეს ერთდებიან და არც მის
ჭარმაგ მამასო. მე კი ვიჯევი შინდის ხის
ქვეშ ფიჭვის უხეშად გამოჩირკნილ მაგი-
დაზე იდაყვდაყყრდნობილი, შევყურებდი
ანეტა ბიცოლას, მაგრამ მის მაგივრად
ზღვის პირას მდგარ თეთრ სახლს, ევკალ-
იპტებით დაჩრდილულ ეზოს და იქ მონა-
რნარე შიშვლე ქალებს ვხედავდი, რომ-
ლებიც რატომლაც ჩემს საყვარელ წიგნში
— „მარად ცოცხალი ხელოვნება“ — ნანას
ბოტიჩელის „გაზაფხულის“ ნიმფებს ჰეგა-
ვდნენ.

ନା କେରା ଦା କେର ନାହାଯିଦିତ ଅଟ୍ଟବାଞ୍ଜେତମି. ଓପ୍ପଣ୍ଡେ
କୁଣ୍ଡଳ ଶାଖାଲୁଲୁ ମନୀ ଫାନ୍ଦିପୁଣ୍ଡ ଦା ଏସ ଆମଦାଙ୍ଗି
ମେହିବିଗିତ ଫାର୍ମିଚା ରିମ୍ସ ଉପନ୍ଦେବାସ. ନାଇ ଦା କାବି
ତବିଲ୍ଲିଶି, ଅନ୍ତର୍ଭାବ ଦିପ୍ରଳାସା ଦା ଆବିଦମ ଦିନାଶ
ଦିନାଶି, ଗାଧାଵିଦିନ୍ଦେବ. ଆବିଦମ ଦିନାଶ କ୍ରି ଏଥିଶି,
ସାଧାରି ଶିନ୍ଦିଲି କେ ବିଦିଗା, ତାତ୍ତ୍ଵାରା ସାବଲିଲି
ଅଶ୍ଵେଷଦା ଗାଫାନ୍ତ୍ୟପୁଠା. ତୁମେକରାଦ ଶେଲ୍ଡେବିଲ
କ୍ଷମଶି ବନ୍ଦ ମେବଲାନ୍ଦ ଶାତ୍ରବୀଲିଲି ଗାତ୍ରାର୍ଗେଦା
ଶେଇଦିଲ୍ଲେବନ୍ଦା. ଏରା ସାଲାମିଲି ଫୋଟ୍ଝିଲି ମାଗି-
ଦାଖି ଜୁଗରିବାନି ରୁବ୍ରେଲୁଲି ଗାତ୍ରାଲା ଦା କରିବେ-
ତିଲି କାନ୍ଦବାସ ଶେଷଦିଗା. ମନମଦ୍ଦିବନ୍ଦି କ୍ରିରୂପଭି
କ୍ଷମିଶା, କ୍ରିମ୍ଭନ୍ତି ଦା ରିଯିବ କ୍ଷେତ୍ରି ମନୀମିରା-
ଗା. ମାଲ୍ଲେବ ରିବମୁକିଦା ରିମ୍ବେଲିଲାଦା ଲୋତ-
ଲିଲିଦାନ ଅନ୍ତର୍ଭାବ ଦିପ୍ରଳାସ କାଲାତ୍ମିନ୍ଦି ଦିନାଶ-
ବିଲା ଦା ସାବଲିଲି ସାଦିକର୍ମିଲିଲି ତବରା ଗାରି-
ଅନ୍ଦା. ମିଥାରିନ୍ଦା, ରନ୍ଦ ସାମ୍ଭିଦାମିନ୍ଦ ରିକ୍ବନ୍ଦି
ଗ୍ରେରିଦିଗି ଫାର୍ମାକଲାଦିବନ୍ଦେବ ଦା ମେବଲାନ୍ଦ
ଶାତ୍ରବୀଲ୍ଲେବୁ ଅଲାର ଗାତ୍ରାର୍ଗେଦିବିତ ଏରତାଦ.
ମାଲ୍ଲେ ଏ ନବେରି ମନିକ ଦାମତାଵରିଦିଗିଦା ଦା
ମେଧା ଆବିଦମ ଦିନାଶ ଅଟ୍ଟବାଞ୍ଜେତମି ନାସିଲା ଗ୍ରେଲ-

ნესტან ეგეტაშვილი

ეზოში შიდლის ხე იდგა



აგვისტოს ბოლოს ანეტა ბიცოლა შინდის ხის ქვეშ უხემად გამოჩირონენილ მაგდას წითელ მუშამბას გადააძრობდა. აბიბიძია თავის თოხს და ბარს ცისფრად შეღძილ ქოხში შეიტანდა, მერე ამ ქოხის კარბოქლომს დაადებდა, ვაშლით, შინდითა დაქლიავით საგვე ვედროებს წითელი, „მოსკონის“ საბარეულში ჩააწყობდა, აქეთ-იქ დაან ტყავის ჩემონდებს შემოუწყობდა მერე ჩასხდებოდნენ მანქანაში და მიდიოდნენ. მე და დედა ცრემლიანი თვალებით ვაცილებდით, ალარც შინდისკან ვიხედა ბოდით, მოვიწყენდით ხოლმე. მალე სკოლაც იწყებოდა და დაბუნებლული შინდის ხის ქვეშ შეფარებული ზაფხული სიზმარივთ მავანებოდია.

მაგრამ მასანაც ცისფრად ძელებილი ქობის კარი გამოიკეტებოდა, ზაფხული თავისი ამბებით დუღდა და გადმოდულდა. ერთ დღესაც კარის მეზობელმა — საშიურ ბებიამ — თაგისი ხისაინიანი სახლის პირები სართულზე ახალი მდგმურები დააყენა — დედა, მამა და თოთქმის ჩემხელა შეატუხა მანანა. ასე გავიცანით ერთმანეთ პაპანაქება სიცხე იყო. დედამ საღამოსთვის, „ნაპოლეონის“ გამოცხობა დააპირდა მაშას მაღაზიაში ფქვილზე გამაგზავნებიც სასწრაფოდ გამოვეწყვე, ბულგარეთიდან დეიდაჩემის ჩამოტანილი სარაფან ჩავიცვი და მაღაზიის სკენ გავნიე. შუშის კოტრინიანი მაღაზია სავადამყოფოს გვერდით, ალვების ხევანში იდგა. მოზრდის მაღაზიაში გამყიდველად რუსი, ხანშიშვილი ქალი მუშაობდა, სახელად მაშა, არითომაც მთელი უბანი მაშას მაღაზიას ეკვიდნობა. მაშა გამხდარი, ცხვირაპრეხილი ქლი იყო, კეფაზე დახვეული უზარმაზარ „კოსითა“ და ცისფერი, გამჭვირვალე თვალებით. მაღაზია თოთქმის ყოველთვის ცარიელი იყო: კედელზე დაკიდებულ თარიკებზე ვაშლის კომპონტითა და კიტრის მზილით გამოტენილი სამლიტრიანები ჩაი-

ოფოს ღობესთან ატუზულს ხელში გრძ
ლი ჯოხი ეჭირა, რომლის წვერზე ტაოლ
წაესვა და გაბოროტებული მომჩერებოდ
დავინახე თუ არა, რაღაცას მივხვდი და ს
ხლისკენ მოვეურცხლე, მაგრამ მანანა ჭ
ნკასავით გამომეკიდა. ის-ის იყო ეზო
უნდა შევვარდნილიყავი, რომ წამომენ
და ტაოტი სარაფანზე წამისვა.

რანში, თავის დაწურულ ღვინოში სანამ ლავი გაურევია. მე ზობელს ჩამოუტანი აფხაზეთიდან ამბავი — ოცამდე რუსი კა ზაკი შესულა მის მარანში და ღვინო ბოლო მდე გამოუწნოუპია, ოცივე მონამლულა და გაღმა მარილზე გასულა, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ერთი შობელადლი მიმს ვდარა, ღვინო რომ მონამლული იყო და სახლისთვის ცეცხლი წაუკიდებია. სულ გა დამზარა იქაურობა, ქვა ქვაზე აღარ დარჩენილა, ტიროდა აბიძო ბიძია. საწყალ ლეო თავის იკლავს, ეს რამ გამაკეთებინა გული ჩამწყდა. მიგხვდი, რომ ჩემს ოცნება ახდენა აღარ ეწერა. ბაღჩაში გავიქიცი ზაფრანისა და რეპანის კვლებში ჩავიმალ და ვიტირე. ამ ამბიდან ლეო მალევე გარდა იცვალა. თურმე სანთელივო გაილია ისე რომ ექიმებმა სიკვდილის მიზეზიც ვერ დაადგინეს.


აგვისტოში კი ნაიას ბიჭი ეყოლა

აღარც ანეტა ბიცოლა ჩამოდიოდა ზა
ფხულობით.

შინდის ხე კი ძველებურად იდგა, სიგა
ნეში წასული, ტანდაბალი, ნაყოფით დახუ
ნდლული. მთელი ზაფხული ისევ ლალის
ფერი შინდით იყო დაფარული უხეშად გა
მოჩიროვნილი ფიჭვის მაგიდა. გაზაფხულ
ზე სახლის საძირკველს მაყვლის პარდებ
მა გადაუარა. მომავალ გაზაფხულზე მაყვ
ლოვანი მთელ ეზოს მოედო, ხეებიც კი გა
დაფარა. მხოლოდ შინდის ხეს არ ეკარებო
და, მაგრამ შინდი უკვე აღარ ისხამდა, შე
თხელდა და კიდევ უფრო დადაბლდა. ფიჭ
ვის მაგიდაც დალპა, ნაფოტ-ნაფოტ დაიშ
ალა.

გასულ ზაფხულს ილია ვნახე, ნაიას დეკაბის ვაჟი. ნაიასავით თურმე ისიც ფილმების გადაღებებზე მუშაობს, კასკადიორ გამხდარა. ექვსი თვით ინდოეთში მივდი ვარ სამუშაოდ, მნახმდე აქ ჩიმორძება და ნაკვეთის გასუფთავება გადავწყვიტე, რომ დავპრუნდებ, პაპაჩემის ჩასხმულ საძირ კველზე სახლი უნდა ავაშენოო. ადრიანაც შეუდგა მუშაობას. შუადღისას ჩემი ორ ძალით რომ გადავაკითხ, ნახევარი ნაკვეთი ბარდებისგან უკვე განმენდილი ჰქონდა. ჩემს იქ ყოფნაში ნაიამ რამდენჯერმდა ურეკა, ნერვიულობდა, ამ დროს ნუ მუშაობ, მზის დარტყმა არ მიიღოო. მერე ეტყობა, ჰკითხა, მარტო ხარ თუ გეხმარება გონიერო. რა მარტო, ბიჭებიც აქ არიანო უყოყმანოდ უპასუხა ილიამ და თვალი ჩამიირა. მთლად ტყუილიც არ გამოგივიდა ესენიც ხომ ბიჭები არიან-მეთქი, მაყვლოვანში გახლართულ ჩემს პოინტერებზე უკთხარი. სიცილი აუტყვადა და მუშაობა ენერგიულად გაგარდება. როცა მაყვლის ბარდებიდან სახლის ნახევრად დაშლილი საძირ კველი გამოჩნდა, დავსევდიანდი. მისევ არ ვყოფილვარ აფხაზეთში — გავიფიქრე — ნეტავ ეს სახლი მაინც აშენდებოდეს. მერე ილიას გაეხედე, მზის გულზე, რომ იქნებდა დაკუნთულ მკლავებს, დაცუახე და რატომძაც გონებაში ღრმად დალექილი, აბიბო ძიას სიტყვები გავუმეორებე და შენ მაინც ნავალთ აფხაზეთში, გულარ დაგრძელდეს.

გაკვირვებულმა ძერმოხედა, შუბლიდა
მელავით ოფლი მოინმინდა, მერე გულლი
ად გამიღმა, აბა, რაო, მითხრა და ამ ღმი
ლში აპიბო ძია დავინახე...
—



დასასრული
დასაწყისი N330

ମାକ୍ସେନ୍ଦ୍ରେବା ହେମି ପାର୍ଗି ମେଥିଓଲଡ୍ୱେବୀ. ଏହି
ମରିଠିତ ଦ୍ୱା ସିକ୍ରିଟିତ ସାବସ୍ରେ ଗୁରୁରୂପ୍ଲେବୀ. ଦେଇ
ଏ ଶିଥି ଗ୍ରେଫ୍କଲ୍ବନ୍ଦୀ. ମରଜେର ଗାୟପିର୍ଦେତ ଏବଂ ଏହି
ନାକୁହାତ୍ତେବିଶ୍ଵେ ମରି ଆଶାଲୀ ଓଜାବି ଫଳାଶଳିତା
୬ ବିଲୋସ ପିଯାବୀ, ବିନ୍ଦାରା କିମ୍ବା ରାମିଶା
ଶଳିତା ହିର୍ବେନ୍ସ ମେଥିଓଲାଫ ସିନ୍ତେଲ ବିନ୍ଦନ୍ଦଶିଲିତା
ପିଦାନ୍ତ, ଦାଲିନାନ୍ ମଥୋରାର୍ପିଲ ଏବଂ ଏହିକିମିତ୍ରି ପାର୍ଗି
ପିଲା. ସାମି ଦିକ୍ଷି ପିଯାବୀରେ. ଉତ୍ତରିଣୀ — ଆମିରାନନ୍ଦ
— ହେମି କବିଲା ପିଲା. ଏରତାର ଗାୟିଥାରର୍ଦେତା
ମେ ଏବଂ ଆମିରାନନ୍ଦ ମରଗର୍ବନ୍ଦା ତାଗିତମତିରିନା
ପିଦାନ୍ତାର ତାମାଶି: ନ୍ୟାଙ୍କିଲ ଫ୍ରୋଟଲ୍ରେବ୍ସ ଡିଟରିକା
ଲାବ ଫ୍ରୋରମାସ ମିଗ୍ରାଫ୍‌ରେଫିଲୋଟ, ପାଲନ୍ଧେ ନାମିରା
ଗ୍ରେଡ଼ିଟ ଏବଂ ହେମି ପାଇଦ୍ରେବ୍ସାନ୍ ଶିଥିନ୍ଦି ଏବଂ କେ
ରିନ୍ଦିତ. ପାଲନ୍ଧେ ମାଶିନ ହିର୍ବେଲ୍ଲେବ୍ରିନ୍ଗୋ ମରିପାର୍ବି
ଏନା ପିଲା, ହେମି ଦାବଶ୍ଵରଦାଶି ପ୍ରମରାପିଲ୍ଲେଶିରଦାଶି
ତ୍ରିରିତ୍ୟାନିଲାତ୍ରିଶ ଶ୍ରେଣ୍ଟରିନ୍ଗୋ ଲାବର୍ କେନ୍ଦ୍ରିତା
ରିମ୍ବେଲସାଚ ଫରନ୍ଦାଫରନ୍ ପ୍ରେକ୍ଟାରିନ୍ରିତ କର୍ମ୍ମାନ୍ତର
ଫନ୍ଦେନ୍. ତ୍ରିରିତ୍ୟାନିଲାତ୍ରିଶ ମାରିଲାଚ ଏବଂ ଏହିପାର୍ବି
ଲେବରିନ୍ଗୋ ପିଲା, ପାଲନ୍ଧେ ପାର୍ବିନ୍ଗୋ ଏବଂ ପାର୍ବିନ୍ଗୋ
ତାନ ମାରାଫର୍ମିବନ୍ଦୀ. ଫରନ୍ଦାଫରନ୍ ତ୍ରିରିତ୍ୟାନିଲା
ପାତ୍ରି ପ୍ରେକ୍ଟରେ ଦ୍ୱୀରତ୍ତେବ୍ସ (ଟ୍ରେଲ୍ଗ୍ରେବ୍ସ) ବିଶାମ
ଦା. ଏହି ଦ୍ୱୀରତ୍ତେବ୍ସ ତାବିଶ ମରିବି, ଆଶାଲୀ ତାମାଶ
ଶେବିଲ ବିନ୍ଦିପିରାଶିକୁଳ ନ୍ୟାଙ୍କିଲ ଶ୍ରେଣ୍ଟରି
ଦିଲିଶ ଦାବଶ୍ଵରଦାଶି ଆମିରାନନ୍ଦ ଗାନ୍ଦାପାର୍ବିନ୍ଗୋ
ମିଗ୍ରାଫର୍ଦା. ଦାଲିନାନ୍ ଦ୍ୱୀନ୍ଦ୍ରିଯା ଏବଂ ସାପିବାର୍କେ
ଲା ପିଲା. ଦାତାମିନ୍ଦି ଫ୍ରୋଗର୍ବନ୍ଦା, ସାମି ଏବଂ
ଏହିପାର୍ବିନ୍ଗୋ ବିନ୍ଦିପିରାଶି ପିଯାବୀ, ୫୫ ଲିଲି ଆଶାକ
ଶି ତ୍ରିରାଗିପ୍ରେଲାଦ ଏବଂ ଲୁପ୍ତା. ପାଲନ୍ଧେ ମାକ୍ସେନ୍ଦ୍ରେବୀ
ଏବଂ ମରାଫର୍ମିବନ୍ଦୀ. ମିଲ ଦାବଦ୍ଵେବିଲ ଦିଲିଶ, ୬ ଶେକ୍ର

ქემბერს, ქაშვეთში შევდივარ და სანთელ ვუნთებ. ნოდარ ბიძია მოხუცია, თან შვილის სიმწარის მნახველი, მაგრამ დარწმუნებულ ვარ, ახლაც სასწაულებს ამბობს, რადგან ენაკვიმატობა მისთვის ორგანული ამბავია. ნოდარი რომ ჩვენთან ჩამოსახლდა იმ პერიოდში „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზე ზაფრაზე იყო ლაპარაკი. ნოდარი ხუჭუჭა კუნთმაგარი, ჯანმრთელი კაცი იყო, მომსპარი ენა ჰქონდა და ხუმრობდა ხოლმე „ტარიელის და ავთანდილის როლს მე არ ავინ მომცემს, მარა ერთ ქაჯად კი გამოვდეგბიო“. კიდევ ერთი სასაცილო ისტორია მახსინთაბა ნორართან და კაშპირგბით:

უკვე ქმარ-შვილი მყავდა. ზაფხული იყო, ლანჩხუთში ჩავედით და მანქანა გავაჩერეთ თუ არა, თავისი სახლიდან მომავალი ნოდარიც გაგვისწორდა. გაგვიხარდა მოვიკიხეთ ერთმანეთი. „რავა ხარ, ნოდარი ბიძია-მეტქი“; „რავა ვარ, ბიძია და მტერი რი გეყლოლს ისე, მე რომ ვარ, ბადრიამ კი დო მეიტეხა ფეხს, ცხრაფეხაი რომ გამეოკეთებია, არ ეყოფოდან“. ბადრია ნოდარი ის ნაბოლობა ბიჭი იყო, სისხლს უშრობდა სულ ავტოვარიებში ხვდებოდა და ხან ერთ ფეხს იტეხდა, ხან — მეორეს. თითო ფეხებს ალპათ მინიმუმ 5-ჯერ ექნებოდა მოტეხები ილი. ჰოდა, როგორი ნათქვამია? ამას თქმას არ უნდოდა? კიდევ ერთი ძალიან კარგადი გამახსენდა — ზურაბ ბიძია. ძალიან მოსიყვარულე კაცი. ერთხელ, უკვე ასაკში

იყო, ჩემს სახლთან რომ შემომზდა, მოვი კითხე. „თქვენ იყავით, ბიძია, კარგად, მუკევე იქით ვარონ“. მერე გაიცინა და ერთ მარტივი სიბრძნე გამიზიარა: „ისე, არ დაბერდები — გლახაა, დაბერდები და იგი გლახაა, ნეტა რომელი ჯობია, ბიძიაონ“. ენაკვიმატობაზე კიდევ ერთი ჩემი კლასელი გამახსენდა — მურმან კეჭვყამაძე — ჩვენი კეჭე, რომელიც სულ რამდენიმე თვე ის წინ დაიღუპა კოვიდით. კეჭე როხროხა ხმაურიანი, ოხერი ენის პატრონი იყო. ჩემთან მევიობრობდა, დილაობით სკოლის გადასახვევთან დამხვდებოდა, ქართული და მათემატიკის რვეულებს ჩამომართმევდა, სწრაფად გადაწერდა და მერე სხვა ბავშვებს ქრთამის მიხევით ათხოვებდა ხოლმე. სისხლს მიშრობდა, სულ რვეულებდებდი. ერთხელ რომელიღაც კარგი ფილმი გამოვიდა ქალაქის ეკრანზე და კეჭე დამპატიუჟა: „ხ-ის ნახევარზე გამოვილია ბიჭები და მზად დაგხვდიო“, მერე ეშმაკურად მკითხა: „ვისიკო, რას ჩეიცვამ ახლ შენ, იმ ვარდისფერ კაბას ხომ, დაბადებიდან რომ გამოგყვავა?“. ბევრი ჩასაცმელი მართლა არ მქონდა, მშობლები სადაც მაცმევდნენ, ისე, როგორც პედაგოგის შეილს შეეფერებოდა, მაგრამ ერთი ულამაზესი ბაილონის ვარდისფერი კაბა კი მქონდა (მაშინ ბაილონი იყო მოდაში), რომელი ძალიან მიხდებოდა, გასაპრანქად ვიცვამდი, კეჭე ოხერმაც სწორედ ეს კაბა იგულისხმა.

ენაკვიმატობაზე ილიკო ჩახვაშვილ
რომ არ გავიხსენო, არაფრით არ გამოვდა
ილიკო საოცარი კაცი იყო, მე ლანჩხუთევ
მოლა ნასრედინს დავარქემვდი. დადიო
და ეს მეტრანახევრიანი კაცი ქალაქში დ
სულ მარგალიტებს ისროდა. გურულები
იუმორით ხომ ვერ გააკვირვებ, მაგრა
ილიკო ამას ახერხებდა. ილიკო ჩემი ბიძ
გახლდათ, ცოლად მამას ბიძაშვილი — ზინა
ნა სადრააძე — ჰყავდა. ზინა 12 წლის ასაკი
ში დაობლებულა და ბაბუაჩემს ნამოუყვავ
ნია და გაუზრდია. ილიკო რომ მოსულ
ზინას ხელის სათხოვნელად, ბებიას და ბა
ბუას არ მოსწონებიათ, ასე პატარა კაცი
როგორ გავატანოთ ჩვენი ზინაო, მაგრა
ილიკოს ისეთი მარიფათები გამოუშეულავ
ნებია, რომ თავგრუ მშვენიერი ზინასთვი
საც დაუხვევია და მის გამზრდელი ბიძი
ბიცოლასთვისაც. ილიკო სულ მებრძოლ
მახსოვს. სამართლიანი კაცი იყო და რომ
გორც შეეძლო, ებრძოდა საბჭოთა სისტემ
მას, რაც ლანჩხუთის სინამდვილეში რაიო
კომის მდივნებთან ჭიდილში გამოიხატე
ბოდა. ილიკო სოფლის მეურნეობის სუერ
ოში მუშაობდა: ხან კოლეგურნეობის ბრიგი
ადირი იყო, ხან ხილის დამზადების სამსა
ხური ეპარა. მახსოვს, სამსახურიდან გაათ
ავისულეს და პირდაპირ კრემლში, ბრე
ჟნევთან აფრინა ნერილი, იმდენი იბრძო
ლა, სამსახურშიც აღადგინეს და კიდევავ
დაანინაურეს. აი, ასეთი მაგარი კაცი იყო.
ძალას მაინც ალბათ განსაკუთრებულ


იუმორის გრძნობა აძლევდა. ილიკოს გამოჩენა, მასთან ურთიერთობა ნამდვილი ზეიმი იყო. სტუმრად რომ მივიღოდით ჩახვაშვილებში, მამაჩემს სულ ეზუმრებოდა: „აგი ქალი არ გამომადგა, ანი სადრაძის ქალს აღარ შევირთავო“.

ერთი სასაცილო პებავი მინდა, გავიხ-
სენო: ილიკო რკინიგზის სადგურთან ცხ-
ოვრობდა და სულ იმ პერიოდეტრზე მო-
ძრაობდა. ერთხელ უკვე ასაკში შესული
ილიკო თაგის შევილიშვილ გოჩასთან ერ-
თად წასულა სადგურის მაღაზიაში. იქიდან
გამოსულები ბაქანზე მიდიოდნენ თურმე-
ერთხანს, სანამ სახლის კენ გადაუხევდ-
ნენ. ამ დროს ბაქანზე „ელექტრიჩე“ და-
რულა. მატარებლის ფანჯრიდან ორ ტუ-
ტუც ბიჭს გამოუყვითა თავი და ილიკოს შე-
ლაზღანდარებიან გლახა იუმორით: „ილ-
იკო, რავა ხარ თუ იცი, ხომ არ დაბერდიო“.
ილიკო რისი ილიკო იქნებოდა საკადრისის
პასუხი რომ არ დაებრუნებინა; ჰოდა,
უმალვე მნარედ უპასუხია: „კი დავგერდი-
ნა მადგილად, უცებ ველარ გიცანით, დე-
დათქვენებთან რომ დავდიოდი, მაშინ ყა-
ზილრები იყავითო“ ბიჭები ისე გამნარე-
ბულან, ერთმანეთს დარევიან თურმე: „ამ
კაცთან შეხუმრება რაფერ გავედეთო“.

გურულების უმრავლესობა ხომ ენაკვი-
მატობით გამოიჩინება, თუმცა ისეთი გურ-
ულებიც არიან, განსაკუთრებულ თითქოს
არაფერს ამბობენ, მაგრამ თავისი ქცევით
არიან კომიკურები. ერთი მნიშვნელოვანი
კაცი გამახსენდა — კინოთეატრის დირექ-
ტორი კაპიტო ებრალიძე. კაპიტო ზორბა
კაცი იყო. რობროხა ხმა ჟერნდა, სულ თა-
ვისი დანესებულების წინ ტრიალებდა. მას-
სოეს, სეანსა რომ ინყებოდა და მთავრდე-
ბოდა, კაპიტოც იქვე იყო სადღაც — ან
ფორეში, ან შენობის წინ. ერთხელ სპონტუ-
ნურად გადავწყვიტეთ კინოში წასვლა. არ
ვიცოდით, რა ფილმი გადიოდა და კინოთე-
ატრში დავრეკეთ. ყურმილი ბატონშა კაპ-
იტომ აიღო, ხმაზე ვიცანით. „დღეს რა ფი-
ლმს აჩვენებთ“ რომ ვკითხეთ, პაუზა ჩამ-
ოვარდა, მერე გაისმა კაპიტოს რობროხა
ხმა: „მოი ბიძია, კაია შენდაო...“

ერთი ჩემთვის ძალიან ძვირფასი ოჯახი
მახსენდება: დათიკო წულაძის ოჯახი. და-
თიკო ქალაქში პატივსაცემ კაცად ითვლე-
ბოდა. ათეული წლების განმავლობაში
არაერთი ორგანიზაციის ბუღალტრად მუ-
შაობდა, თავისი საქმის დიდი პროექტისონ-
ალი იყო და რაც მთავარია — არაჩვეულე-
ბრივი პიროვნება. დათიკოს ცოლი — თამ-
არა — დედაჩემის დეიდა იყო. დათიკოს
მძიმე წარსული ჰქონდა: ულამაზესი ცოლი
და 8 წლის ბიჭი დაეღუპა ტიფით. მერე დი-
დხანს ოჯახის შექმნაზე არც უფიქრია თუ-
რმე და უკვე კარგად ხანში შესული დაქორ-
ნინებულა 40 წლის თამარ ბახტაძეზე. და-
თიკო და თამარა უტკბილესი ცოლ-ქმარი
იყვნენ. დათიკო გალანტური კაცი იყო:
ცოლს უდიდესი პატივისცემით და სიყვა-
რულით ექცევოდა, თამარასაც ძალიან უყ-
ვარდა თავისი რაინდი. ქალაქის ცენტრში
ცხოვრობდნენ ულამაზეს, პალმებითა და
დეკორატიული ბუჩქებით გაშენებულ ეზო-
ში. ეს ეზო მართლა ბოტანიკურ ბადს ჰგავ-
და. დათიკოს მამა — ბესარიონი — გილდ-
ის ვაჭარი ყოფილა ძველ ძროში, ძალიან
მდიდარი კაცი. სახლიც ლამაზი ჰქონდათ
— უზარმაზარი, დიდი ოთახებით, რუსუ-
ლი ბუხრით, დიდი აივნით, ძვირფასი ავეჯ-
ით — ფეოდალის სახლ-კარს მოგაგონებ-
დათ ბესარიონის დანატოვარი. დათიკო
და თამარაც უზრუნველად ცხოვრობდნენ
ამ ფიდებულ ეზო-კარში. ყოველ გაზაფხ-
ულზე მუშებს ქირაობდნენ ხოლმე: რომ-
ლებიც ბარავდნენ, ბუჩქებს კრეჭდნენ, ხე-
ებს და ყვავილებს სხლავდნენ, ალამაზე-
ბდნენ ყველაფერს. სახლი იმხელა იყო,
რომ ნახევარს აქირავებდნენ. ახლა უცემ-
თვალწინ დამიდგა ტიპური სცენა: ზაფხუ-
ლის გრილი სალამორები და დათიკო და თა-
მარი აივანზე კომბორტულ სავარძლებში
მეზობლებთან ან სტუმრად მისულ ნათე-
საობონან ართა

სავერთანა ერთად. და თამარას ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდათ — ნანა. მე და ნანა ერთად ვიზრდებოდით. ამ ოჯახს ხშირად ვსტუმრობდი, ღამითაც ხშირად ვრჩებოდი ნანასთან. სახლი ღელის პირში იდგა და ზაფხულის ღამებში იქ ყოფნას არაფერი სჯობდა: ლია ფანჯრებში ღელის ჩხრიალის და ბაყაყების სიმფონიის ხმა შემოძიოდა.



ზაალ ებანოიძე

რჩევის კოცონი

ვინ იყო ბოლო მეციხოენე, ვინაც გოდოლთან
მზეს იშველებდა მერდები ფარივით? —
თვალის მარილი ცას შეატოვა
და შენს ბალახებს წარეტანა უკანასკნელად.

მერე ვიღაცის შეცივნულ ბაგეს ჩამოტყდა სიტყვა:
შენ ხარ ფენიქსი, — წინაპრის სულით
საკუთარ ფერფლში აღმოცენდი
და ისრის წვერით ამოლამბულ უამზე იხარე.

შენი გვირილით — მცირე შუქით —
ამ უღრანებში გზას მივიკვლევ,
სად ფრინველივით იკარგება ხშირად ძახილი.

აქ, გარდასულთა რწმენის ნამსხვრევებს
მოუყირო თავს და ვდგები კოცონთან:
ლამის ტევრიდან გამოდის კაცი,
ვისაც ფრთიანი ლექსი მოსწონდა.

ანთია ჩემი იმდი — ოცხე
და ამ ტყეების თრთოლვას მაძალებს,
მიხსნებს ყურთან უძველეს ქალაქს
და თავის ქალას მილიარდი კითხვებით მივსებს.

არჩიმედის კანონის პარალელი უსინათლო ლამები

თავსასოუმალთან დაინტებ წიგნებს
და ჩამრთველს ტოვებ ჩართულის ნიშნით,
როცა იქნება აინორს იქნებ —
და თვალმაც იმ დროს ჩაუინოს წიგნში.
ჩაიძირები საკუთარ თავში
და აყურადებ ამომგდებ ძალას —
მითხარი, უფრო მეტი ხარ ბავშვი,
თუ ბრძენის ხარჯზე — ბავშვობას მალაც.
გემსხვევა ტანზე აკლდამა ღამის,
გტოვებს დროებით ავი ზმანებაც;
და კანტი-ეუნტი ყოვილი მამლის
ეპატიუბება დღის მობრძანებას,
სარეცელიდან აიკრეფ სხეულს,
ბნელის უჯმური ხელით აკეპილს
და შეუდგები საზრუნავს, ჩევეულს,
რაზეც დგას მაინც ეს ყველაფერი.

პალახის დროშა

ვის ეკუთვნოდა კორჩიოტა, ანდა იების
ცვარი ვის სევდას მომჩინოდა,
ვედები ასე ათასგვარ წერილმანს,
თუმცა აპრილით შეფერილ წვიმას,
როდესაც ტყიდან გაგონილი „პაფე“ და „თესე“
ამოჰვას მწვანე ბალახის დროშად —
სურვილებისთვის იღება ზეცა...

მერე კარგა ხანს, ლოლოების შეტბორილ ვერცხლად
კაიფოს ცეცხლი დანთებული იჭვის კერაზე
და მიდის ეს გზა, რომელზეც ყველა
თითო ყვავილის გამხდარა ლირის.

იქ, სადაც მრუმედ შებოლილი მთა არის ნისლის
და კლდები კალთით ჰყიდია ქარი,
დროდადრო მძიმედ იღება კარი.

მე ვიცი, შენი მზრუნველი მზერა
ჩემზე დანდობილ ამ სანახებს თვალდათვალ კერავს

და ფანტავს ლოცვის მარჩენალ მარცვალს,
რომელსაც კაცი უნდა მიჰყევ ხელის ცეცებით.

ვდგები!.. ვეცემი!.. — წუთიერი სოფელი ესე,
ვადრემდე თავის მაცდუნებელ ხმითა და ფერით,
ჩემს ყველდღიურ ყოფაში მდერის.

საერთო ხელისა

ჩაგდირაც ჩანგი, ჩაგდირაც ლირა,
საკუთარ თაეში ჩაგდირაც თვალსევლს,
და სწორედ ამ დროს მეშლები ხშირად,
რაც იმას ნიშნავს, რომ იძენ რასმე.

ჩემზე კი არა, მე შენზე ვევები,
(ძნელსახილველის მოხილვას ვლამბი),
და მკითხავით არ მტკუვა ყბები
ყალბად ატეხილ მთენარების გამო.

იქნება ამ დროს შენც ფიქრობ ჩემზე
(მჩატედ მიმოდის ჩვენ შორის როლი),
მშირი მგლები ყმუიან სერზე,

თუ თავს გვახსენებს შვილი და ცოლი.
ჩამოიჩერა ღრუბელი — მატყლი —
ცამდე აძვერილ მთების კბილებზე;

სადღაც სულ ბოლო გაიჭრა კარტი

და ხელზე დანა გადაილესეს.

ერთი „მე“ ამ დროს გარედან გიმზერს

და მუხლიც უკევ იქამდე უთროთის,

ვიდრე „მეორე“ შედგება ქიმზე

და ნახტომისთვის მზად არის წუთი.

მათი საერთო ხელნერა — ლანდი,

მათი საერთო ხელნერა — ჩრდილი,

ქუჩაშიც ორის ღიმილით დადის

და თვალზეც ორის დედდება თრთვილი.

ამყვებ ხელზე სურათი იველი:

მონტევადოს ხელთამანს, ვაწროს,

იძრობდა, როცა გამოჭრილ ყელით

კაც დაესიზმრე და თავი იცნო.

ბედის ამგვარი იგავით აცრა

და არა რამე ჯადო და ხეითო,

როგორ იქნება, ბოლომდე, კაცმა,

ჩეველებრივი სიმშვიდით ზიდო.

გამოიხდავ სარემლიდან შიშით

და ნუთიერის ჭვარტლი თოვიდან

ისენებ — რაც რომ უძრახე პირში

მოკეთეს, მაგრამ რა გამოვიდა.

ხელისგულებზე ბებერებს ითვლი —

გადანაჭერზე კორძის მაგვარებს;

შეგიმარილდა მრავალჯერ ხვითი,

მაგრამ ცხოვრიბა ვერ მოაგვარე.

ლარიბი კაცის ღარიბულ ჯამთან

ჯალაბის მაინც მოძრაობს ყბები;

კუს ბაკანითი გადიძრობს ზამთარს

მინა და ისევ პირისპირ ვდგებით.

გულზე როყიო მოგხვდება დალღა

და მუხლებამდე ჩაუინავს სუსხი

და თვალებიდან ამოსულ ლალდას

თუ შიშს ორთავე ლულიდან ესვრი.

ხარ მონადირე საკუთარ სევდის,

ამგზავრებული ფოთლების ხოროს;

რადგანაც ცხადში ვერ ცხოვრობ დენდის

ცხოვრებით, ძილში ხომ მაინც ცხოვრობ.

თვალჩავარდილი სამყარო

ზენიტზე ახლაც პალმები დგანან,
შორის — პორიზონტი თუ თეთრი ვენა,

და სიმარ-სიზმარ და ჭალა-ჭალა

ნინა წლის ჩალა ამძაფრებს მზერას.

ფერიდან ფერზე ასხლტება სხივი
და ღელავს ყანა ჭვავის და პურის;
და ლობე-ლობე ჭინჭრაქა ჩივის
და მარცვლ-მარცვალ აგროვებს ყური.
ეს ყველაფერი — შენში და შენად
აყვება რა რო გაჩენილ კითხვას,
თანდათან უნდა გარდაქმნა ენად
ან საგნად უნდა აქციო სიტყვაც,
აღფრთოვანება — მონცენის მერე
და ცრემლის კვალზე გამდგარი ნამი;
და ხედას თვალი აფორილ ღელს
და ანვდილ ხელებს ჩაშრალი ხრამის:
სევდის წალკოტს ამატებ ტვირთად
საკუთარ სევდას და დგები განზე:
გადაირა თვალდათვალ ზვირთმა
შუადის ხვატში ტბილი სილამზე,
და მიზეზ-მიზეზ აყოლა უნდა
ამ ჭალებს, როცა პოეტის სიმზე,
აიტეკ მარჯვებს მიტანილს გულთან
და გამოხდებს გაქცეულს ცისკენ,
გაქცეულ სიტყვის ბილიკზე დგახარ
და აქეთ-იქით გენევა ღექსი,
და მაღლა — ჩალით დახურულ თავანს —
თუ ცას ხანდახან ნაპერწკალს ესვრი.
ამძიმებს სმენას დუმილი ჭარბი,
ამჩატებს მზერას ლალი და შენდი;
და ცისარტყელი გახეთქილ წარბით
მოდის სადამო და მოდის ბინდი.
წარღვნის ნარჩენი და წარღვნის კარი
გაიარს თვალში შეფერილ ზოლად.
გადიფრენს ცაზე უეცრად ძერა
და აფრთხობს მზერას ფარფატა გრილო;
და თვალჩავარდილ სამყაროს კერავს,
და თუ ვერ კერავს — ხომ მაინც ცდილობს,

სათავეული შემახელების მეგზაურობით

იგრძნობ — მიზეზ-მიზეზ ხმაურდება
ხელის კუნაპეტში ცეცება,
როცა ლეგენდების დაურვებას
მკარი სინამდვილე ეცდება.

ხედები — კანი ჩუმად გესუსხება —
ხათრად ატარებენ გამოცდას,
ბნელში სიარული ღექსის უხდება —
ღექსის სინათლეზე ამოსვლას.

ამჩევე — ალაგ-ალაგ ამობედავ —
თუმცა სულ ერთია — იტყვი სად —
ლამის გაზრებულ გამოხდვას
თავში დარწმუნებულ ბრიყვისას.

გჯერა — ბარეორი გემონწმება
და მეც იმათ შორის მგულისხმობა;
„მაჯა დაიგალებს შემოწმებას
ყელში ამოჩრილი გულისონ“...

უსმერა — სიტყვა სიტყვას ენაცვ

როცა შორიდან სალამოს უმზერ —
შენგან მიმავალ რამე ახლობელს,
ძალაყინებით დაძრობილ ლურსმენებს.
თუ ჩამავალ მზის სხივებს ვაგროვებ.
ვინ დააჩინა სახეზე ხელი?! —
ცისარტყელებმა ფიქრი აშალეს;
და ცას — ქსეროქსზე გადასულ წერილს
ღია თვალები გადაამშრალებს.
არც რო ჰქონია სხვაგვარი ყოფა,
ვინაც სამყაროს პროფილს უყურა;
და გულს — გავარდნილს სხეულში თოფად —
სალამოს მწუხრი წამოუხურავს.

მისაღები პარადოქსი

ყვითის მამალი — რიურაჟის მაცნე
და წყდება ცისერის ვარსკვლავი — ღილი,
გავჭარავდი, ამათზე რაც მე,
ამათზე რაც მე ვმდერი და ვტირი.

გულს უსმენს „ერთი“ და დამეს უსმენს
და ძალის ყეფას — წამოსულს „შირით“...
ის, ის „მეორე“ აბიჯებს ლურსმენებს,
შიშველი ფეხით აბიჯებს მგონი.

ეს ხდება კედლის შიგნით და გარეთ.
ცივია ღამე და შუბლზე ხვითქი;
და უძილობა ჰკიდია თვალებს —
ყველაზე მჩატე და მძიმე ტვირთი.

ეს დუმილიდან მოწვერავს სხივი,
ან ღაბირინთის იხსნება ფარდა.
თვალს ვაპატიოთ — გონება ცივი —
თუ ამჩნევს რასმე წყვდიადის გარდა.

ამჩატებული მარტოობით, ძვირფასო დედა —
მინაო ჩემო, სისხლო და ხორცო,
ჩემს გარდა რაკი ვერავის ვხედავ,
მეც სიზმარი ვარ თუ მართლა ვცოცხლობ.

ავჯანწყებივარ სინამდებილეს — ძეველისძველ მოდელს,
ყოფნა-არყოფნის ტკივილით სავსეს;
ხმა მენაღმართა, მასმიერ იდეს
და მტვრის სამოსით მოგადევ კარზე.

ვდარაჯობ მერე მდუმარების ბაიბურიდან
ამოსულ მზეს და ამოსულ მთვარეს;
მახურავს თაგზე ცა — ლივლივა ფაიფური და
ცეცხლად ქცეული კომეტები მიდაღაუს თვალებს.

ამოქსოვილი აბრეშუმის პარკია სივრცე,
დედაო ჩემო, შენ სახელზე მე რომ მელირსა,
და რადგან გვინდა უუშმორეს ვარსკვლავებს მივწვდეთ,
დროდადრო უნდა ერთმანეთი მხარზე შევისვათ.

დამძიმდა სიტყვა — ბოლო იმედი —
წყალნაღებულის ბალახი ბოლო,
რაც იმას ნიმუშას — უკვე მივედი
და კედელია ზურგსუკან მხოლოდ.
ესეც შენ! — შანის მოგებით ვიტყვი
ჩემს თავზე, მცირე ყოყმანის შემდეგ,
და მეტყინება ნაძრახი ფილტვი,
რომელსაც ჩუმად ვმუშავებ დღემდე.
ინყბა უკვე არყოფნის შიში
და ფურცელ-ფურცელ ტოტიდან ვწყდები,
ილევა ასე საათი ქვიშის,
თუ არქალი ხემირა წლების.
თუ ვავდები, შენი სიზმრებით ვავდები
და ცხადში თეთრი ყვავილი მკოცნის,
ჩემივე ღანდი მიქირავს მხედებით,
სხვებისთვის უკვე ჯვალო და ძონდი.
თვალის სიმჩატით გეხები ზოგჯერ,
ეს წამი მერე კარგახანს მყონის
და ვსნავლობ ასე — თავს როგორ მოვრჩე
და შეუმჩნევლად შევიშრო თფლი.
მოზვრის ზმული სალამოს ფერით
ხანდახან ზიარ სინაულს კერავს,
და მე მგონია, ეხება ხელით
ვიღაცა ამ დროს ჩვენს ბედისწერას.
ის — გადასული ნაწერის მსაგავსი
(ცხადში კი არა — ნანახი ძილში),
გაულენთილია დუმილით ხავსის
და კარზე მომდგარ წყვდიადის შიშით.

სიცხადის კედელი

ჩრდილოვან ხეთა შრიალით მოდის
მარადიული სიმუშიდის ხმები...
გათასამული ხასიანი სამარის ლოდი
სუროს ძალვებით და სუროს თმებით.
აქ უნინარეს კრძალვა და რიდი
და მუხლებიდან ნამოსული რთვილი და ნამი,

მრუმე ნათელით და მრუმე ბინდით
შემურულია მდუმარების ყოველი წამი.
მძიმდება გული და ჩნდება თვალზე
ცრემლი, ათასი ხსოვნის დამტევი,
მწუხარებისგან თავის დახსნის სურვილი დაგძლევს,
მაგრამ დარდისთვის გაჩენილა აქ ყველაფერი:
ფაფუაც, გრანიტიც, შავი მესერიც,
ნარზე დამჯდარი ჩიტი ნიბლიაც...
და რასაც ამ დროს მოთმინებას დაესესხები —
ფიქრი, ფიქრი და მხოლოდ ფიქრია.
ფიქრების მიღმა, მიწიერს და ზეცირს შორის,
მნარე საცხადის დეგება კედელი
და მხარზე გვადევს უხილავის დამდლელი ტორი,
წუთისოფელთან იძულებით შემრიგებელი.

თავ-ბოლო ერთი — სიბერის ცალად,
ისევ ბავშვობა და ცრემლი მისი...
აქა-იქ ჭალას აჩნდება ჩალა,
აჩნდება ყანჩა და თეთრი წისლი.
სმენის ნამლეკავ დუმილის ფონზე,
მინდვრის ყვავილებს ჭერად რომ შეენის, —
ერთი ბზარია — მესკის მორზე,
და გულისცემა ხანდახან შენი.
გამოქცევისარ ნადიმებს გლოვის,
ლენინს ტრაურებს და ქვეყნის ყაყანს;
აპა, ნამდვილი ფარჩა და მოვი —
სულ პირველად რომ ადამია ნახა.

უსახელო სიცხათლე

არც რო მართლა თვლემა იყო,
არც რო მართლა გეძინა, —
კურცხალ-კურცხალ აფრთხობდი
ნამწამებთან მისულებს...
გაორებამ ამნაირმა, შიშები რო შეგძინა —
თავთან დაუკითხავად ნამოდგომა ისურვე.
შეგროვე სიზმრები ლამების მარაგიდან,
სენაკს დაემშვიდობებ და გაბლე კარი,
როცა ქარი — სოპრანო, კონტრალტოში გადავიდა,
ესე იგი წიავშ გადავიდა ქარი.
ლამის მთელი ცხოვრებს კოშმარებით იმოსები,
არც რო გიკირს — წამებას თავი ნებით მიანდე;
აჯანყდება ხანდახან ტექსტებს შიგნით მიმოსვლები
და ზედაპირს მოთრთვილავს უსხეულო სინათლე.

მორიელის ლანდი

ნიავს აუხირდები თუ საკინძეს იხსნი,
ბორცვი ბორცვზე შემდგარი მთად რო გადაიზარდა:
ჭალა-ჭალა დაცურავს — ყანჩა თუ წისლი
და ფერადი ოცნება გაახლოვებს მიზანთან.
აგერ — რამე მდინარე, აგერ — ტბორი რამე,
უწინ და უწინადო დაფარფატებს ჩრდილები;
ფეხაკრეფით მოინევს ახლა მართლა ღამე
თუ ტალღებზე ასხლეტილ ხილვებს ემორჩილები:
ვიოლინოს პროფილი, მორიელის ლანდით,
საცეცები მოელის ხების კაპრიზ შეხებას,
აჯანყდება თანდათან მუსიკისი — დარდი
და თითებზე შემდგარი ღამე გაიტეხება.

ალარ ისმის „რაშო-რერა“, — სანატრელი ხმები
და გსურს საფრთხის აშორება მეტაფორულ თქმებით.
ჩაძირული ცხადი ძილში მიზეზია საზრისის —
არც რო — სიურეალიზმი, არც რო — ფუტურიზმი.
ინყება: „თუმცა“ ანდა „თურმე“ —
სიტყვას სმენით ირჩევ;
აფსუს, რა დროს აფათურებს ხელვებს სულმი წიცშე;
სევდა უფრო გემატება და მძიმდება თვალი,
ინვის ცაში კელაპტრებად ჩინარები ჭალის.
ზოგჯერ — მესენაჟე ბერი, ზოგჯერ — სისხლის მონა,
შენისას ჭრი და შენისა მღერი, შენი ადლით ზომავ.
მაგრამ, მაინც დუმბარ, სადაც დევს სასაზღვრო ზოლი
და გზა გადის უფალსა და ზარატუსტრას შორის.

გულგრილობანარევ სიმშვიდეშიც მოჩანს
ინტერესი ზოგადი მოვლენათა ჯამის:
იკითხება მოლი — გაზაფხულის დროშა,
გალუმშული გრილი გამთევის ნამით.
იკითხება ლიბრი ზედაპირი ტბორის,
რგოლზე რგოლის აცმა და ლივლივი ნელი:
გაყურსულა ჭალა და ორ მნიშვნელის შორის
დევს საურმე შარა — გამოწვდილი ხელი,

ანელი

და ტოკავს ახლაც ლერნამი ტბორთან —
მესალამურე პატარა მწყემსი;
ზამთარი მიდის და თითქოს მოთბა
და თითქოს უფრო გნებდება ლექსიც.

ხე-კვიპაროსი — წინარე კაცი,
ქალი-ლოტოსი — ისიც ასევე;
„მე ვინ ვიყავი?“ — იკითხავს ანნლი
და მოკრძალებით თავს შეგახსენებს.

ფიქრი ძახველზე და ფიქრი ბზეზე,
ფერაფერაზე — ფერში ნაზავზე,
ჯერ თითო-თითოდ ალაგებ ხელზე
და მერე თვალში ერთად ათავსებ.

იღვრება ციდან ფერადი სითხე,
სითხიდან — შუქი, შუქიდან — ჩრდილი,
ჯერ თითო-თითოდ ასხლტება სიმზე,
ჯამდება მერე და ერთად ტირის

და შედის ჩეამი, ჩეამი და ბგერა
სიტყვაში — როგორც საკუთარ სახლში;
შორს — წყალში ახლაც კანკალებს დასჯილი ბავშვი.

მოგორება: „მკვდრის მზე“

სალამო. სოფლის პატარა ღელო.
ჩხრიალი ართობს სავსიან ყურეს,
და ტანზე იცვამს იმდაგვარ ფერებს,
რომ უნებლივ რიცხვის იმსახურებს.

იტყვი: ასეილი გამდნარა თალხში
და ფერაფერას დარბევას ცდილობს,
ამიმშრალებს თვალს რიდით თავშლის:
— ახლა „ისინ“ თბებიან, შვილო!

დაეძებ, მაგრამ არავინ არ ჩანს,
არა და მოლზე თვალდათვალ ტირის
შუქი და მი დროს იყივლებს ყანჩა
და სოფლის თავზე გადება ჩრდილი.

მერე ნარჩიტა დაფურთხება ნარზე,

ძერაც უეცრად წაგდებს კისერს...

მზრუნველი ხელი გახურავს თავზე

მშობელი დედის და ლ

ଭାବାବାବର୍ଣ୍ଣଙ୍କ

ნანას სპილოლა ჟქონდა და ღამით რა-
დიო, „მონტე-კარლოს“ ვიჭერდით. მე უკვე
ჩამოყალიბებული ვიყავი, რომ ფრანგული
ენის სპეციალისტი უნდა გავმხდარიყავი
და ეს რადიო თავისი ჟლურტულა ფრანგუ-
ლითა და სიმღერებით ძალიან მხიბლავდა
და მახალისებდა. წულაძეებთან გატარე-
ბული ზაფხულის საღამოები ძალიან მიყვა-
რდა და სულ მენატრება.

ჩემი არაჩვეულებრივი მეზოგელი მას-
სენდება — ბორია გვარჯალებე. მამას ბო-
რია განსაკუთრებით უყვარდა: „ისეთი კა-
ცია, ფულა რომ არ წაახდესი“ — ამბობ-
და. 90-იან წლებში, როცა ყველა სტრუქ-
ტურა მოიშალა და ხალხი უმუშევარი დარ-
ჩა, ბორიამ, ერთ-ერთმა პირველმა ლანჩხ-
უთში და ალბათ საქართველოშიც, თავისი
ბიზნესი წამოიწყო. რეინის საამქრო გააკე-
თა. მოძრავი და უნარიანი კაცი იყო და სა-
ქმედ კარგად მიღიოდა. ძალიან კარგი პი-
როვნება იყო, მაგრამ ცუდი საქმე და ემარ-
თა, 22 წლის არაჩვეულებრივი ბიჭი — ლა-
დო — ტრაგიკულად დაედუპა. ლადოს სა-
ხელზე ბორიამ ეკლესია ააგო საავადმყო-
ფოს ეზოში, იქვე, ჩვენს კუთხეში. შერე თვ-
ითონაც მალე მიჰყევა შვილს, მაგრამ სამუ-
დამოდ უკვდავყო მისი და ლადოს სახელე-
ბი თავისი დანატოვრით...

მასხსენდება კოტე გვარჯალაძის ოჯახი: კოტე ბიძია — მოსიყვარულე, ალალი კაცი და სუსანა დეიდა — მუდამ მოფუსფუქსე, ხალისანი, ძალიან ენერგიული ადამიანი. მათი შეიღება: წატო და დათო ჩვენი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. კოტე ბიძიას დიდი საქანელა (სიკორწიანა) ჰქონდა ასწლოვან ცაცხვზე მოწყობილი, სადაც მთელი უბნის ბავშვები ვიკირიბებოდით და ვერთობოდით, ჭიშკარი სულ რია იყო და ეზოში დიდი ურიამული იდგა. ეზოში დიდი წაბლის ხე ედგათ და სეზონზე იქ მისული ბავშვები უკან წაბლის ეკლიანი ბურთებით ხელდაშვენებულები ვპრუნდებოდით სახლებში.

აქვე გავიხსნებ უზნის ბავშვების ყველაზე დად სიხარულს — ნაყინის გამოჩენას ქუჩებში. ზაფხულის ცხელ დღეებში ყოველდღე ისმოდა ხოლმე სანატრელი ხმა: „მაროჟნიიი“. ბავშვები ქუჩაში გავცვივდებოდით. 20 კაბიკიან ნაყინს ვიყიდდით და გემრიელად შევექცეოდით. ის ნაყინი ლანწეუთში მზადდებოდა, ბრიკეტის ფორმა ჰქონდა და თეთრ ქალალდში იყო გახვეული, შეფუთვა სადა და საძჭოური იყო, გემო კი — საფირმო. ნაყინს ფურგონიანი მოტოციკლეტით დაატარებდაზენ ქუჩებში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კაცი გამა

კულტურული მეცნიერებების განვითარების უნივერსიტეტი კულტურული მეცნიერებების და სამეცნიერო კოლეგია — „გოჭიჭამია“ აღინიშნა. აღინიშნა სამტრედებლი ებრაელი იყო. ლანჩჩუთში დროდადრო გამოიჩნდებოდა, ძირითადად დღესსასწაულებზე, სურათებს გადაგვიღებდა, დაიკარგებოდა, მერე ისევ გამოიჩნდებოდა და არაჩვეულებრივ ფოტოებს ჩამოგვიტანდა. ლანჩჩუთის ცენტრში სხვა ფოტოგრაფებიც მუშაობდნენ, მაგრამ აღინიშნა მოძრავი კაცი იყო, კველა ქუჩაზე დადიოდა, ლამის სახლში მოგაეკითხავდა, თან ხარისხიან სურათებს ამზადებდა და მასზე მოთხოვნა დიდი იყო. მეტსახელი „გოჭიჭამია“ იმიტომ შეარქევს, რომ ებრაულ ტრადიციის ღორის ხორცის ჭამის ნაწილში არ ცნობდა და ლორს და გოჭს აღმოილათ მიირთმიოდა.

ჩემს პატარა ქალაქს არაჩვეულებრივი
ინტელიგენცია ჰყავდა. ჩვენ საავადმყოფ-
ოსთან კეცხოვრობდით, პერსონალს თი-
თქმის ყოველდღე ვხვდებოდი და ამიტომ
განსაკუთრებით მკვეთრად იმ დროში მო-
ლვანე ექიმები შემორჩინენ ჩემს მესხიერებ-
ას.

თვალწინ მიდგანან არაჩეულებრივი
სტომატოლოგები: ამალია იმნაძე და მად-
ლენა ცინცაძე, პედიატრები: თინა ცინცაძე
და მაყვალა ეგრალიძე, ქირურგები: იოსე გ
ჩიჩეუა და ნუგზარ ურუშაძე, პოლიკლინი-
კის მთავარი ექიმი - ჩემი კლასელი ანას
მამა, ძალიან ნიჭიერი კაცი - გურამ ხავ-
თასი. განსაკუთრებული პატივისცემით
მინდა გავიხსენო პედიატრი ბორის ბურგე-
ლა: თავისი საქმის როიფესიონალი და უ-
რალოდ კარგი კაცი. ერთ ზაფხულს ჩემი 2
წლის რეზნკო მყავდა დედასთან დატოვე-
ბული. ბავშვი გაციებულა და სპაზმური
ხელება დამართვია. შეშინებულ ბებია-ბა-
ბუას შუა ღამით გაუქანებით საავადმყო-
ფოში. ბორის ექიმს დაბარერება აღმოჩენია,
ჩემი მშობლები დაუმშვიდებია და მერე
თურმე რამდენიმე დღის განმავლობაში

თვითონ აკითხავდა ბავშვს სახლში, სანამ ბოლომდე არ მოურჩენია.

განსაკუთრებული პატივისცემით მახს-ენდება მიშა ვადაჭყორია — ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი. ბატონი მიშა თხემით ტერფამდე ინტელიგენტი იყო: უკიდევანოდ განათლებული, ფაქტიზის სულის ადამიანი. მთელი ცხოვრება ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევას შეალია, დიდი სიყვარულით უვლიდა და დაპანკალებდა მწერლის სა-

ନେଇବା: ହେବନ୍ସ କ୍ରାଲାଶମୀ ସାମି ଦିକ୍ଷି ଦାଦିଗନ୍ଧା
ସାଦଗୁରୀର ଜ୍ଵଳିନିଦାନ。 ରାଜିନିଗଢ଼ିଲେ ସାଦଗୁର-
ତାନ ସାରାମନୀ ସାତ୍ରେବର୍ଗେବ୍ଲେବୀ ପୁଣ, ସାଦାତ-
ରୂପୁଶେବୀ ଚେତ୍ରସରକ୍ଷଦର୍ଶନ୍ତିରେ ମୋହଲ୍ଲେଇ, ଓଠ ଧରିବିଲେ
ଲାନ୍ଧିରୁଥୁଟିଥି ପ୍ରେଲାଦ୍ଯୁମ୍ବ ମେତ୍ରାଦ ରୂପୁଶୁଲି ଗ୍ରାନ୍
ରାଜିନିଗଢ଼ିଲେ ସାଦଗୁରତାନ ବିଶମନାଦାରିରେ
ହେବନ୍ସମା ଦିକ୍ଷିବନ୍ଧମାତ୍ର ମେତ୍ରାନିବରାଦ ପିତ୍ରଦଙ୍ଗେ ସାଲାପାରା-
କ୍ଷାମ ରୂପୁଶୁଲିରେ ମାତ୍ରାଗ୍ରହି, ଏରତ୍ବେଲ ଅଲ୍ଲେଖ୍ରସାନ-
ଭରା ମାତ୍ରାନାଵଲ୍ଲେବେଲମା ଏରତ୍ବେଲାଗ୍ରହି ମାତ୍ରାଗନ୍ଧି
ଗାମନୀଦାବା — ଦୁରା ଲୋମାଦୀରେ ଦୁରାମ ତାତ୍ପରୀ-
କ୍ଷାମ କ୍ଷାମିଲେ ରୂପୁଶୁଲିତ ହାତଫୁରତିରୁଥା ଗାକ୍ଷେ-

შეირთოთ და ფუნქციები ისევ სამი ბიჭი გაჩინდა: სამი ახალი სიცოცხლე. ყველას ახარებდა ვადაჭკოორიების ოჯახში დატრიალებული სიხარული, ლამარა დეილაც ბიჭების გაზრდა-აღზრდაში ჩაერთო, ცხოვრებას აზრი მიეცა და უცემ... კიდევ მეზი დაატყდათ თავს — უბედურმა შემთხვევაშ მაბუკას სიცოცხლეც შეინირა. ზუსტად არ ვიცი, კიდევ რამდენი იცოცხლა ამის შემდეგ ლამარა დეილამ, ნარმოუდგენლად უილბლო ადამიანმა, ის კი ვიცი, რომ ბიჭები დაიზარდნენ და დარწმუნებული ვარ, ისეთივე კარგები იქნებიან, როგორებიც თენგზით ბიძია და ლამარა დეილა იყვნენ.

რეზო ლოროიასა და დარეჯანის წყვილი
მახსენდება. რეზო პოეტი იყო, ლანჩჩეუთის
რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგ-
ილებ მუშაობდა. გაზეთს „კომუნისტური
შრომა“ ერქვა. ბატონი რეზო ღერქვებს წე-
რდა და ქალაქში დღოდადრო გამართულ
კულტურულ ღონისძიებებზე კითხულობ-
და, მეორე ლანჩჩეუთელი პოეტიც მახსენ-
დება — ჯემალ დობორჯგინძე. ლექსის
წაკითხვის გამორჩეულად ემოციური მან-
ერა ჰქონდა.


გივი მექაბაძიშვილის და მისი მეუღლის
— ქალბატონი ელიკოს გამორჩეული წყვილი
მიდგება თვალზენ. ჩემი სკოლის გზა-
ზე ცხოვრობდნენ, ლამაზი სახლი და ვარ-
დებით გაშენებული ეზო ჰქონდათ. სახლ-
კარს ეტყობოდა დიასახლისის დახვენილი
გემოვნება. ორი არაჩვეულებრივი შეილი
ჰყავდათ: ელგუჯა და გულიკო. დღეს ელ-
გუჯა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტო-
რია, გულიკო — ექიმი.

აუცილებლად უნდა გავიხსენო ჩემი
უფროსი დის კლასელი — დათო ურქმაძე.
1971 წელს, როცა ჩემი და მე-9 კლასში იყო,
პირველი საშუალო სკოლის ბაზაზე გახს-
ნეს გაძლიერებული მათემატიკური კლა-
სი. ამ კლასის მათემატიკის მასწავლებლად
დანიშნეს უნიჭირესი მათემატიკოსი —
გიორგი იმაძე. იმ წლებში სამედიცინო ინ-
სტიტუტში ფიზიკის ნაცვლად მათემატი-
კა ბარდებოდა და ამ კლასზე დიდი მოთხო-
ვნა გაჩნდა. კლასში აღმოჩნდენ საუკეთე-
სო ბავშვები ქალაქისა და მთელი რაიონის
სკოლებიდან. მოკლედ, ძლიერი, ერთმან-
ეთზე უკეთესი ბავშვების კლასი დაკომპლ-
ექტდა. დათოც, როგორც უნიჭირესი ბა-
ვშვი, ამ კლასში აღმოჩნდა. ამ ნიჭირ ბავშ-
ვებში დათო გამორჩეული იყო. ჩემი და
სულ მის უნიკალურობაზე ლაპარაკობდა.
კლასიდან ერთი ოქროს მედალი გავიდა,
რომელიც სამართლიანად შეხვდა დათოს
და იგი ერთი გამოცდით მოხვდა სამედი-
ცინო ინსტიტუტის სამუშაოალ ფაკუ-
ლტეტზე. დღეს დათო ლანჩხუთში ცხო-
ვრობს და იქაურების საყვარელი ექიმია.
ლანჩხუთელების დოქტორ ჰაუსია. მისი
უკიდეგანო ცოდნა და გამორჩეული ინ-
ტუიცია ყველა სფეროს სწვდება. ჩემ დას
სამედიცინო კონსულტაცია რომ დასჭირ-
დება, უპირველესად, დათოს ეხმიანება თბ-
ილისიდან ლანჩხუთში, ყველაზე მეტად მას
ენდობა. ძალიან დასახანია, რომ რიგი მი-
ზეზების გამო დათომ ვერ მოახერხა უფრო
მასშტაბურად გამოყენებინა თავისი შესა-
ძლებლობები, მაგრამ ისიც არა ცოტა,
შეს ქალაქს და მთელ რაიონს რომ მოემსა-
ხრავი აულიანაო თა ხარისხიანაო.

სურენი გელიაშვილი და და მარიამ გადაბეჭდისათ.
აი, ასე გამოიყენებოდა ჩემი პატარა
ქალაქი გასული საუკუნის 60-70-80-იანებში,
ჩემი ბავშვობისა და ახალგაზრდობის
წლებში.

მგრინი, ყველაფერი ის, რაც ჩემთვის ძე-
ირფასი იყო, გავიხსენე, იმ წლებში სასიამ-
ოვნოდ ვიმოგზაურე და თქვენც ჩემთან
ერთად ამზოგზაურეთ.


სარე. ჩემი პატარა ქალაქი გავიხსენე, რომ-
ელიც ახლა სულ სხვა მაჯისცემით ცხოვ-
რობს (ღმერთმა დალოცოს). მე კი იმ დრო-
ის მაჯისცემა მიყვანს, ჩემი წილი სიყვა-
რული ისევ იმ დროში ცხოვრობს ჩემს მშო-
ბლებთან და იმ ეპოქის ადამიანებთან ერ-
თად, ან უკვე მოგონებებში... ამ დღეებში
ჩემმა ცნობიერმა და ქვეცნობიერმა მთე-
ლი დატვირთვით იმუშავა, წარმოუდგენე-
ლი ემოცია ამოვიდა სულის სილრმიდან....
ჰოდა, ძალიან ბედნიერი ვიქენი, თუ ეს გუ-
ლწრფელი წააშიობი შეგეხება შენც, ჩემმ
ძვირფასო ადამიანო, ვინც ამას წაიკითხ-
ავ...



მისი საფრაძე

ჩემი პატარა ქალაქი

ავტობიოგრაფიული მოთხოვნა



ნათია კაპანაძე

560

უდაბურ სოფლად. ქვემეხების გაბმულ ხმაურში რელსებზე როცა უხმაუროდ იდგა ვაგონი ქალმა სიკვდილთან უწვერული ვაჟი გაუშვა. და მე ვიგონებ

ამბავს. რომელსაც დასასრული უნდა პქონოდა როგორიც ზღაპარს. კეთილ ზღაპარს. უფრო ვერაგი იყო განგება. ვაჟი სადღაც მტერთან ომიბდა. მაგრამ ვერავინ

იგებდა, როცა შუალამის უწყვეტ გუგუნში დედა კივილით აიკლებდა სოფელს მარტოსულს (მსგავსი ტკივილის გამოხატვას ხელს ვერ შეუშლი). და შინ არ მოსულ

შვილზე დარდები ყოველ დამე სტუმრად ეწვევა. ის კი სროლისას თვალებს ხუჭავს, ხელებს იფარებს ყურებზე. ამ ხმებს ვერასოდეს ვერ შეეჩვევა. როცა ინათებს,

სტუმრობენ მაშინ ძილის მეფე, სიზმრის ქალლერთი. და ფიქრებიდან გამორკვევის ვიწრო ბილიკზე საბედისნერო ნაბიჯია, ნაბიჯი ერთი. იქვე პირიმზე

ვითარცა მტერი სხვის სახლობზე დაიდებს ბინას. და გადატენილ იარაღთან პირევე დამხობით კითხულობს ლოცვებს. და იწერს პირვევარს. როცა თოხებით

უკან მისდევდა დედას სადღაც სოფლის ბოლოში ერთადერთ ყანის მოსავალი პქონოდათ რათა და დაქანცულნი ბრუნდებოდნენ გვიან მერე შინ და დედა მხართან

თავს ჩამოდებდა. ხან ჩათვლემდა. ხდებოდა ასეც ის კი უცქერდა სილამაზეს მაღლულს ნაოჭში, რომელსაც მერე მოგონებად დრო გადაქცევს. რადგან თვალს მოჭრის

